15-ს დეკემბერს ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ. 1884 წელსა.

ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘ

№ 24.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარ წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘ“ რედაქციაში, დაბა ᲨᲐᲠᲐᲞᲐᲜᲘᲡ. *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდად ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა ᲨᲐᲠᲐᲞᲐᲜᲨᲘ რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდად, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნი მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: რა შეიქმს სიყვარულს მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის? — კიდევ საეკლესიო-სამრევლო სკოლების დაარსების შესახებ.—ᲓᲔᲮᲣᲛᲘᲓᲐᲛ.— ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში X—XI, დასასრული.— საისტორიო მასალა.—არხეოლოგიური ცნობები.— [illegible] სხვა ამბები [illegible] ᲛᲔᲥᲚᲘ, ᲒᲠᲔᲚᲘ.— განცხადებანი.

რა შეიქმს სიყვარულს მოსწავლეთა და მასწავლებელთ შორის.

ᲠᲐᲛᲘᲠᲐᲓ გვესმის ეხლანდელს დროში, რომ გარდაიცვალა ესა და ეს პედაგოგი, რომელსაც თავის მოღვაწეობის დროს დაუმსახურნია ნამდვილი ძმური და მამობრივი სიყვარული თავიანთ ამხანაგთა და მოწაფეთა, მაგრამ მრავალ არიან ისეთნი პედაგოგებიც, რომელთაც ვერას გზით ვერ მოუხერხებიათ დაიმსახურონ ესრეთი სიყვარული და ძლიერ ადვილად კი ხდებიან საგნად სიძულილისა, დევნისა და შეურაცხებისა თავიანთ მოწაფეთაგან. ᲐᲠᲐ გვგონია, რომ სიყვარულს რომელიმე წრეში იმდენი საპატიო და დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორიც იმას აქვს პედაგოგიურ ასპარეზზედ მოსწავლეთა და მასწავლებელთ შორის; იგი არის ერთი უძლიერესთაგანი იარაღი, რომლითაც მხოლოდ შეუძლია პედაგოგს დანერგოს თავიანთ ნორჩ მოსწავლეებში ყოველი კეთილი ადამიანური თვისება და გამოიყვანოს მათგან ბოლოს ნამდვილი კაცები. ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ შემთხვევაში კი [illegible] ᲐᲠᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ. ᲛᲐᲨ ამ პედაგოგებს დიდი რამ კლებიათ თავიანთ საქმის კეთილათ წაყვანისათვის. ნუ თუ მართლა შეუძლებელია, რომ მასწავლებელმა თავი შეაყვაროს თავიანთ მოწაფეთა? ეს საქმე რომ ძნელია, ამას არც ჩვენ უარ-ვყოფთ, მაგრამ სრულიად დარწმუნებული კი ვართ, რომ თუ პედაგოგი ამ ასპარეზზედ შესვლისათანავე მიზნად დაიდებს თავის საქმის წარმატებისათვის წინ წაიძღვანოს პირველად ყოვლისა სიყვარული თვისსა და მოწაფეთა შორის, უეჭველად გამარჯვებული დარჩება და მისი სამსახურიც ნაყოფიერი იქნება. პირველად მიუცილებელია, რომ თვითან უნდა შეიყვაროს მოწაფენი და მისი სიყვარული უთუოდ მოწაფეთა სიყვარულსაც გამოიწვევს მისდამი. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ საუბედურო, ეს თავი-დანთავი საგანი ზოგიერთებს სრულიად ავიწყდებათ და ამ გარემოებას მოჰყვებიან ხოლმე ის სამწუხარო მოვლენანი, რომლებიც ხშირად გვესმის ეხლანდელს დროში. პირველი დაბრკოლება, რომელიც წინ ეღობება ამ შემთხვევაში ყოველს მასწავლებელს, ჩვენის აზრით, არის ჩვენი ოჯახური აღზრდა. პირველი შთაბეჭდილებანი ყო-

ველთვის ითვლებიან ულრმეს და უძლიერეს შთაბეჭდილებებათ და ამიტომ, საჭიროების დროს, მეტად ძნელია მათი აღმოფხვრა და გასწორება. ზოგიერთს ჩვენს ოჯახებს, ჯერ-ჯერობით მაინც, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ ჩავსვთლით ამ ხრით სრულიად უნაკლულო წყაროდ, სადაც ყრმათა ეძლეოდეს სრულიად წმინდა და სასურველი შთაბეჭდილებანი. რაღა თქმა უნდა, რომ ამ ოჯახებიდგან გ.მოსულ ყმაწვილებს თან მოაქვსთ სკოლებში იგივე ნაკლულევანებანი ზნისა და ხასიათისა, რაიცა შეეთვისათ მათ თავიანთის მშობლების სახლში. მაგრამ არც ის შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ოჯახური აღზრდა მარტო ჩვენში მიდიოდეს ცუდათ; დიდათ თუ ცოტათ ოჯახურ აღზრდას ამ გვარი სენი სჭირს, თითქმის, ყველგან. ეს კარგად უნდა ესმოდეს პედაგოგს და თავიდამვე ამაზედ უნდა მიმართოს მთელი თავის ღონისძიება, რათა სწავლა და კეთილი ზნეობრივის ზედ მოქმედებით აღმოფხვრას მოწაფეში ესრეთი ნაკლულევანებანი. მაგრამ სჩანს, რომ ეს ბევრს ან არ ესმის და ან ესმის, მაგრამ არ აქცევს ჯეროვან ყურადღებას. აი აქ ვხედავთ ჩვენ უმთავრეს მიზეზს იმ სამწუხარო მოვლენათა, რომელნიც ღაღადებენ მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის სიყვარულის ნაცვლად სიძულილზე და განხეთქილებაზედ. ტყუილად ეძებენ ამ სამწუხარო მოვლენათა მიზეზს ზოგიერთი პედაგოგები მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნაციონალურ სხვა-და-სხვაობაში.

კიდევ საეკკლესიო-სამრევლო სკოლების დროით დაარსების შესახებ.

ჩვენის გაზეთის პატივცემულს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ მართებლობის განკარგულება სამრევლო სკოლების დაარსების შესახებ. ეს განკარგულება ძლიერ სასიამოვნო მოვლენაა ჩვენს გაჭირვებულს დროში. ვინ არ იცის, რომ ამ განკარგულების ნაყოფია სწავლა და სწავლის ნაყოფი ხალხის კეთილ დღეობაა, და როცა ქვეყანაზე კეთილ დღეობაა, მაშინ ღვთის მოსავი ხალხიც ბლომად ვრცელდება.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ სამრევლო სკოლები იქნებიან ხალხის კეთილ-დღეობის უპირველესი სახსარი, თუ ამას გულს-მოდგინეთ მოეკიდება ჩვენი სამღვდელოება... მაგრამ აქ ერთი სიძნელე გვეღობება წინ. ეს არის უფულობა, რომელიც, უნდა გაგიტყდეთ, უპირველესი მიზეზია ყოველივე ამ გვარი საქმის დაწყებისათვის. მართალია, მართებლობამ სამრევლო სკოლებისთვის ყოველ წლიურად ოთხმოციოდე ათასი მანეთი გადადვა, მაგრამ ეს ფული სწორეთ ამოდენა ქვეყანაში წვეთის ოდენად თუ გამოჩნდება.

რუსეთის ზოგიერთა ადგილებში მართებლობის ამარად არ დააგდეს სამრევლო სკოლები. დღე არ გავა, გაზეთებში არ ამოვიკითხოთ: ამა-და-ამ მაზრაში ამა-და-ამ პირმა ამოდენი და ამოდენი ფული შესწირა სამრევლო სკოლების სასარგებლოდო.

ერთის სიტყვით, მღვდელი თუ ერი სამრევლო სკოლების საქმეს დიდის გულს-მოდგინებით ეკიდება. ამ საქმის კარგა წაყვანისათვის მოწადინებულია ყველაზე ძლიერ უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი მ. პობედონოსცევი, რომელიც ათას სხვა-და-სხვა საშვალებას ეძებს საქმის რიგიანად წაყვანისათვის. სხვათა შორის, ამის მეცადინეობით ერთი კარგა დიდი საშვალება გაუჩნდა იმ სამრევლო სკოლებს, რომელნიც იმ მაზრებში გაიმართებიან, საცა ერობაა დაწესებული. აი საქმე რაში მდგომარეობს: იმ მაზრებში, საცა ერობაა დაწესებული, ყოველ გუბერნიის სამაზრო ხაზინიდამ ერობას ეძლეოდა 1500 მ. სასულიერო სემინარიებში იმ მღვდლის შვილების შესანახავად, რომელნიც კურსის დასრულების შემდეგ სოფლის მასწავლებლად წავიდოდა. ეს განკარგულება მოხდა უმაღლესის მთავრობისაგან 29 მაისს, 1869 წელში. მას აქეთ ზემოთ ნათქვამი ათას ხუთასი მანეთი ხმარდებოდა თავის დანიშნულებას, დღეს კი ბ. პობედონოსცევმა იშუამდგომლა მართებლობის წინაშე, რათა ეს ფულები მოხმარდეს სამრევლო სკოლებს. ეს ფული დიდი შეღავათია იმ გუბერნიებში, სადაც ერობაა, მაგრამ ნუ თუ ამ გვარი საშუალება, თუ ჩვენებური ეპარხიის უფროსნები ეცდებიან, ჩვენც არ ამოგვიჩნდება?

სამრევლო სკოლებს დიდი თანაგრძნობით მიეგებენ, როგორც გაზეთებიდამ ვიცით, ისეთ შორ და მიყრუებულ ადგილებშიაც კი, როგორიც არის ყაზანის ეპარხია, ტავრიზი და სხვა.

რუსეთის შიგნი მაზრებზე არას ვიტყვი, რადგანაც იქ სამრევლო სკოლა ახლა მოდაში შემოვიდა. მაზრა არ არის სკოლის კომიტეტი არ დარსებულიყოს და რამდენიმე სკოლა არ გახსნილიყოს. ჩვენში სიჩუმე სუფევს. ყაცი ყურს არ აპანტურებს, თითქო ამ საქმის ფიქრით თავის შეწუხებაც არა ღირდეს. სად შეუძლიან სამრევლო სკოლებს ისეთი სარგებლობის მოტანა, როგორც ჩვენში. სამრევლო

სკოლის თავ და პირველი მიზანი, როგორც თვით იმისი წესდება ამბობს, არის გონებით და ზნეობით აამაღლოს კაცი, შეაყვაროს ღმერთი და თავისი რჯული. ეს, როგორც ამას წინეთაც შენიშნა რედაქციამ და როგორც ყოველი კაცის გონებაც მოითხოვს, შეიძლება მხოლოდ საგნების დედა-ენაზე სწავლებით. თუ ვინიცობა ჩვენშიაც გულს-მოდგინეთ მოეკიდენ ამ საქმეს და კომიტეტიც დაარსეს, იმ შემთხვევაში თავი და თავი მიზანი კომიტეტისა პროგრამის შემუშავება და შედგენა უნდა იყოს.

ზემოთ მოვიხსენიეთ, რომ რუსეთმა დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა სამრევლო სკოლებს და მრავალი შესაწირავიც შემოდისო, მაგალითებ: რუსული გაზეთი „ახალი დროება“ ამბობს: „შაქრის ქარხნის პატრონმა ბ. პიონიგმა სასულიერო წოდებას ასი ათასი მანეთი შესწირა სამრევლო სკოლების სასარგებლოდ. ქალბ. ოხოტნიკოვის აპეკუნმა ორმოცდა ათი ათასი მანეთი შესწირა ამავე საგნისათვისო. პოლკოვნიკის ტალ-პომსტადიურის ქვრივმა სამრევლო სკოლის ასაშენებლად ხეხსონის გუბერნიის სოფ. სადოვოში ათასი მანეთი მიართვა ეპისკოპოზს, მასწავლებელს ყოველ წლივ 400 მან. ჯამაგირი გაუჩინა, სამღვრთო რჯულის მასწავლებელს ასი მანეთი და ორმოცდა ათი დესიატინა მიწა სკოლას აჩუქაო.“

კაი მარჯვე კაცი ეცდება, რომ ზემო ხსენებულ ასი ათასი და ორმოცდა ათი ათასი მანეთიდამ ცოტა რამ წილი დაიდვას. თვით ქრისტემ ბრძანა: „ითხოვდეთ და მოგეცეთო“. ვითხოვოთ, იქნებ ცოტა რამ გვინაწილონ.

ამას გარდა, ჩვენი ხალხიც ისე არ გაძუნწდება, თუ რა საკვირველია, ჩვენი სულიერნი მამანი ეცდებიან და შეაგონებენ, რომ ამ იმათთვის სასარგებლო —საქმისთვის თითო ოროლი გროში არ გამოიღოს ანა და ათიოდე ქცევა მიწა არ შესწიროს. საქმე ის არის, რომ ამათ მოაგონოს კაცმა ძველი ქართველების პურადობა. უწინ ჩვენი მამები ათონის მონასტერს და სხვა უცხო ქვეყნებში ჩვენებურ მონასტრებს უზომო საჩუქრებს უგზავნიდნენ და ნუ თუ ჩვენ, იმათ შვილებს, არ შეგვიძლიან ასი ქცევა ადგილის მაგიერ ერთი ქცევა ადგილი მაინც შევსწიროთ, ანდა ათასი მანეთის წილ ერთი მანეთი გამოვიმეტოთ. ნუ გავჩუმებულვართ, დროა, ზანი მივსცეთ რუსეთს და გავმართოთ სამრევლო სკოლები.

ანთ. ჯუღელი.

ლეჩხუმიდამ.

ისეთ მივარდნილ მხარეებში, როგორიც არის ლეჩხუმი, ძლიერ გავრცელებულია სხვა-და-სხვა ჩვეულებანი და ცრუ-მორწმუნებანი, რომლებიც მთლად აღარიბებენ ისეთაც ძლიერ ღარიბ ლეჩხუმის მცხოვრებლებს. ზოგიერთ ჩვენ დედა ქალაქებშიაც კი ბრძანდებიან სხვა-და-სხვა გაიძვერა მკითხავები და ჰყვლეფენ ხალხს და ისეთ მივარდნილ მხარეში, როგორიც ლეჩხუმია, ათასობით ბინაობენ მატყუარა მკითხავები, რომლებთანაც ხალხი გაჭირვების დროს გარბის, რომელიმე უბედური შემთხვევის მიზეზის შესატყობლად. ვსთქვათ, რომელიმე ოჯახში გახდა ვინმე ავათ, პატრონი მაშინვე მოხუცებულ ქალებთან გარბის, რომ ავათ-მყოფობის მიზეზი გაიგონ მათ და ისინიც მაშინვე ავათ მყოფობას ხატს მიაწერენ. ამის შესატყობად მოხუცებული დედაკაცები ბამბის გრძელ ფთილას ცარიელ თითისტარზედ დაახვევენ და წყლიან ფინჯალს ზემოდამ დაადებენ; მერე ჩამოთვლიან ყველა იმ წმიდანების სახელებს, რომელთ სახელებზე აშენებულია ეკკლესიები. მერე აიღებენ და შემოაცლიან თითის-ტარს ბამბას და თუ ბამბა ცალ გვერდზე მიდებული დარჩა თითის-ტარზედ, მაშინ იტყვიან: „ხატმა გაჭრაო“ და ეტყვიან ავათმყოფის პატრონებს, რომ ესა და ეს ხატი უწყრება, საწირავსა სთხოვსო და ურჩევენ, რომ კაი ცხვარი ანუ კურო შესწირონ ხატს. თუ ამ საშუალებით ვერ მორჩა ავათ მყოფი, მაშინ ოთხიოდე მოხუცებული ქალები შეიკრიბებიან ღამით, მოძებნიან იმისთანა გზას, როჭელთაგან ერთი აღმოსავლეთისკენ მიდიოდეს, მეორე დასავლეთისკენ, მესამე ჩრდილოეთისკენ და მეოთხე სამხრეთისკენ. აქ ისინი მოიტანენ პურ-ღვინოს და სანთელს, რომელსაც ოთხ მარივ დაუნთებენ გზებს; მეტანიას იზამენ; ავათმყოფის ზომა სანთელს იქვე მიწაში ჩაფლვენ. წალებულ პურსა და ღვინოს თვითონ მიირთმევენ. ამ მოქმედების დროს ეს მოხუცებულები ავათ-მყოფს გზის ანგელოზს ავედრებენ და სთხოვენ, რომ უშველოს და ავათ-მყოფობისაგან განათავისუფლოს იგი. ამ ზომების შემდეგაც თუ ვერ მორჩა ავათ-მყოფი, მაშინ ჭირისუფლები მკითხავებს მიაშურებენ. მკითხავებიც ბევრნი არიან: თვით დაბა ლაილაშში ხუთამდის არის: სამი კაცი და ორი ქალი. ამათში ერთი სომეხია და ოთხი ებრაელი. ესენი მკითხაობენ წიგნით, ლობიოთი, ბანქოთი და ზოგი მაჯის საშუალებით ტყობილობს ვ თომ ავათ-მყოფობის მიზეზს.

მსენი ავათ-მყოფობის მიზეზს ხშირად აწერენ ეშმაკებს და ბრალსა სდებენ ხშირად ახლობელ მონათესავეს. მასთან მთხოვნელებს აძლევენ სხვა-და-სხვა წამლებს. ამ გზით ატყუებენ გაუნათლებელ ხალხს და სტყუებენ მათ ფულს. ერთი სიტყვით, მთელი რაჭა—ლეჩხუმის მცხოვრებლების ქონებ-ცხოვრება ამ გაიძვერა პირების ლუკმა პურათ შეიქმნა.

Გარდა ამისა, აქ ხალხში ბევრი უბრალო ჩვეულებაც არსებობს; მაგალითებ: დიდ ხუთშაბათს დილით და საღამოთი წალმის ცეცხლს ანთებენ ვენახებში; მერე ვენახების გარშემო სახნისის ანუ სხვა რკინის ცემით და რაწკუნით სამჯერ ყმაწვილი ბიჭები შემოურბენენ და თოფის სროლას გამართვენ, რომ მამულებს ეშმაკებმა კვირტები არ დააცალონ და არაფერმა ავნოსო. ამ დღეს უმფროსი კაცი ოჯახში უბრად ადგება დილით ადრე, ასკილის ეკლიან წკნელებს ერთმანეთს შემოახვევს და დიდ რგოლს გააკეთებს; მერე ოჯახში დიდს და პატარას თავზედ გადაავლებს ამ რგოლს და შიგ გააძვრენს. ეს ვითომ მისთვის, რომ საცთურიანი თვალი ვერას გვავნებსო. წმიდა ქალწულ მოწამის პარვარის დღეს და ახალწლის მეორე დღეს ყოველს ოჯახში დილით ადრე სხვა მეზობლის ოჯახებიდამ ბიჭი ანუ გოგო მეფეხურათ უნდა შეეიდეს; ამ პირებს მაკვლიერებს ეძახიან; ამათ თან უნდა მიიტანონ პური და ღვინო და მათ მიმწვევს საქონლის გამრავლება უნდა მიულოცონ. ამის შემდეგ ყოველი მეოჯახე ფიქრობს, რომ ბედნიერად იქნება და საქონელიც ბევრი ეყოლება. თუ მაკვლიერებს დააგვიანდათ და მასპინძლის ოჯახში მათ ვინმე სტუმარმა მიუსწრო, მაშინ გლეხი უსიამოვნოდ რჩება და საქონლის გამრავლების იმედი აღარ აქვს. შობას, შუაღამისას, პირველ მამლის ყივილზედ, ყოველს ოჯახში ყველანი ადგებიან. ერთი უმფროსი მამ კაცი სახლის კარს გააღებს, ღვინით სავსე დოქს ხელში დაიჭერს და მამულისაკენ გაიშვერს დოქს და სამჯერ დაიძახებს: „ჩრისტე იშვა, ჩვენმა ვაზმა და ვენახმა ისხა — ისხა.“ ჩრისტეს შობას ვენახს ახარებენ და ფიქრობენ, რომ ჩრისტე მამულს დალოცავსო და ბევრს მოისხამსო. სხვანი ამ დროს მოიყვანებენ ახალგაზდა მამლებს, ერთ მათგანს ყმაწვილებს შემოავლებენ, მეორეს — ხარებს და ერთსაც სახლს შემოავლებენ მეოჯახეების ტანის სიმრთელისათვის. მერე ყველა ამ მამლებს დაკვლენ და მოამზადებენ და ღამით ისაუზმებენ. შესანიშნავია, რომ ამ გვარ მომზადებულ საჭმელს უგვირგვინო, ე. ი. ჯვარ დაუწერელ ყმაწვილებს არ აჭმევენ, რადგან, მათი აზრით, ცუდი ბედი იცისო და ამიტომ მათ სხვა საჭმელს უმზადებენ. შემდეგ პურის ჭამისა ყველანი წირვაზედ წავლენ. შობის წინ დღეს ყოველს ოჯახში კორკოტს ამზადებენ.

ახალ-წელიწადს უფრო ბევრ უბრალო ჩვეულებას ასრულებენ: ახალ-წლის წინა დღეს ყოველ ოჯახში თითო ნასუქ ღორს დაკვლენ და წვრილ ოთხფეხი საქონლის გამრავლებისათვის წმიდა დიდ ვასილს ეევედრებიან. ამ ღორის ხორცს მარტო თავის ოჯახში ხმარობენ და სხვა გარეშე პირს არ აჭმევენ. ამ ღორის ხორცს არამც თუ სხვა გარეშე პირს არ აჭმევენ, მასზედ ნახმარ დანას და საინსაც არ მიუტანებენ სხვას და, თუ მიუტანეს, ძლიერ გასწყრენდენ მათ, რომ ნადირმა საქონელი არ მოგვტაცოსო. თუ ვინმე სტუმარი ეწვიათ ამ დღეს, სხვა ხორცი უნდა მიართვან მასს. ახალ-წელიწადს დილით ადრე დააწყობენ ვაზიდგან გაკეთებულ ხელიან ხახალზედ: პურს, ხორცს, თაფლს, ფულს, ვაშლებს და ერთი კაი კეთილი ხასიათის ადამიანი, რომელი სქესისაც უნდა იყოს იგი, აიღებს ერთ ხელში ამას და მეორეთი დოქით ღვინოს, ჩამოუვლის ყველას და ცალ-ცალკე მიულოცავს ახალ-წელს. ფულს და ვაშლებს ყველას ხელში ჩაუყრის და გაამინჯვებს; ამის შემდეგ ოჯახში ყველანი წითელ ვაშლებს უმკვლევენ და ერთმანეთს ლოცავენ. ამ დღეს ერთმანეთში არ მიდი-მოდიან და არც ეკკლესიაში წავლენ წირვაზე. ოჯახიდამ ამ დღეს არას გასცემენ და გარეთ არ გაიტანენ. ასე იქცევიან მიტომ, რომ იმ წელს, მათი ფიქრით, ოჯახში ბევრი რამ შემოვა და ბევრს შეიძენენ და გარეთ არა გაუთ რა. თუ ამ დღეს რომელიმე მეოჯახე სხვაგან წავიდა, ან რამე გაიტანა თავის ოჯახიდამ, მაშინ მასს, მისი ფიქრით, ამ წელს ოჯახში არა შემოუა რა და არა შეეძინება. თუ ამ დღეს ვინმე ეკკლესიაზედ წირვის მოსასმენად მივიდა, თან პური და ღვინო უნდა იგულოს, რომ პირუზმო სახლში არ დაბრუნდეს, რომ მშიერი არ დარჩეს მთელს იმ წელში. ამ დღეს თუ ერთმა მეორეს რამე უარი უყო თხოვნაზე, მთხოვნელი ძლიერ შეწუხდება და ფიქრობს, რომ ამ წელში ის ვერ გაიმარჯვებს და ყოველ საქმეში და თხოვნაში უარს ეტყვიან მასს. ყოველ სახლის კედელში ეკალს, ასკილს და თხილს ჩაასობენ, ცუდი თვალი ვერას გვავნებსო. ბარდა ამისა, ამ დღეს თოფების სროლა და მხიარულება ძალიან იციან. ავათ-მყოფების საზიარებლად ზოგიერთი უკანასკნელ დრომდის მღვდელს არ ატყობინებს — ზიარება სიცოცხლეს მოუსწრაფებსო. მიცვალებულს რომ გამოასვენებენ სახლიდამ, კუბოზედ მიცვალებულის სარტყელს ან

რაიმე ჰინჰს დაადებენ, სახლის კარებთან რომ მოასვენებენ, მაშინ აიღებენ ჰინჰს ანუ სარტყელს და ცეცხლში დასწვენ, — მკვდარი აღარაფერს გვაზარალებსო. როცა ვინმე მგზავრად წავა, ან რაიმე საქმეს, ან თესვას იწყებს, მთვარეს არჩევს და ოთხშაბათი დღე უფრო კარგ დღედ მიაჩნიათ სამგზავროდ. ოჯახიდამ გამოსვლამდის კარებთან წინ ერთ რომელიმე მეოჯახეთაგანს, რომელიც მათ სურს, დაიხვედრებენ — კარგი ფეხისა არისო, თან ნაგუზალს აიღებენ და წინ დაიგდებენ, რამოდენჯერმე წალმა შემოტრიალდ ბიან და წავლენ — ბედნიერი მგზავრობა გვექნებაო. უბრალო მუშა დღეებს, ძველად მათი წინაპარებისაგან შეწირულებს რაიმე მიზეზისათვის, პატივს-ცემენ და მტკიცეთ უქმობენ და ნამდვილი კვირა-უქმე დღეების წმიდათ შენახვას კი არ მეცადინობენ. ბევრს ორშაბათი და ხუთშაბათი საზარალო დღეებათ მიაჩნიათ და ამ დღეებში არც ისესხებენ და არც გაასესხებენ და არ გასცემენ არც ფულს და არც სხვა რასმეს; მხოლოდ ამ დღეებში ჩვეულებათ აქვთ, რომ ცოცხლებისთვის მღვდელს აწირვინონ, მაგრამ მიცვალებულებისთვის ამ დღეებში კი მღვდელს ძვირად აწირვიებენ. ბიორგობის თვე ლეჩხუმელებს სხვა თვეზედ უფრო ნაკლებ თვეთ მიაჩნიათ და ზოგიერთი მჭიკობის თვეს ეძახიან; ამ თვეში არ შეიძლება, რომ მღვდელს ჯვარი დააწერინონ და ან ვინმე გაათხოვონ ოჯახში. ამ თვეში მიცვალებულს არც საკურთხს დაუდგმენ და არც ცხვარს დაუკვლენ. დიდ მარხვის პირველ დღეს, რომელსაც სოფლელები შავ-ორშაბათს ეძახიან, ყოველ რკინის იარაღს და საზოგადოდ რკინეულობას დამალავენ და იმ დღეს თვალით აღარ იხილავენ მათ და არც იხმარებენ. ამას ჩადიან, თავიანთ აზრით, მიტომ, რომ საქონელს ნადირი აღარ გაგვიფუჭებსო. ახალ თვარეზედ თმას და წვერს არ მოიპარსვენ და არც ყველიერში — თმა მალე გაგვითეთრდებაო. ახალ-წელიწადს სავსე ღვინიან ჰურში ჩაიხედვენ — კარგი ფერი და თვალები იცისო; მინდორში ამ დღეს საქიანოს ჩამოაბმენ და დიდმა და პატარამ ყველამ უნდა გაიქიანოს — წელი აღარ გვეტკინება იმ წელიწადშიო. ამ გვარი ცრუ-მორწმუნებანი სხვაც ბევრია ლეჩხუმში და სხვა მაზრებშიდაც, მაგრამ ყოველ ადგილს და ყველა ხალხში ერთ-ნაირად არ არის გავრცელებულნი ამნაირი ჩვეულებანი. წინეთ ლეჩხუმში ამისთანა ჩვეულებანი უფრო ძრიელ გავრცელებული იყო; თუმცა ამ ბოლოს დროს ძრიელ იკლეს ამ ჩვეულებებმა, მაგრამ ჯერ სრულიად მაინც ვერ მოისპო. ვგონებ, ყველა დამეთანხმება, რომ ამ გვარი უბრალო და უმნიშვნელო ცუდი ჩვეულებანი ქრისტიანე კაცის ღირსების დამამდაბლებელნი და შემარცხვენელნი არიან და ხალხის საზარალო. ამიტომ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სამღვდელოება ეცდება, სადაც ამ გვარნი ცრუ-მორწმუნებანი და ჩვეულებანი არსებობენ, მიაქციონ ყურადღება და მოსპონ მათ თავიანთი სწავლა მოძღვრებით.

მ. ნ. ფ—ძე.

ლეჩხუმიდამ.

კლდედ-ალმართი არის საზოგადო სახელი ლეჩხუმის მაზრის ერთი ნაწილისა, რომელიც შესდგება ოცდა ხუთი სოფლისაგან. ეს ნაწილი სძევს იმ ადგილს, სადაც ქუთაისის და ლეჩხუმის მაზრები იყოფებიან მდინარე ლეხედარით, რომელიც ერთვის მდინარე რიონს. კლდედ-ალმართიდგან დაბა ცაგერამდის, სადაც იმყოფება მაზრის სამმართველო და მომრიგებელი მსაჯული, იქნება სამოც ვერსტამდე და ქუთაისამდის — ორმოცდა ათი ვერსტი.

კლდედ-ალმართი, როგორც თვით სახელ წოდება გვიჩვენებს, ადგილის მდებიარობით შესდგება მთა-გორაკებისაგან. აქაური ადგილები ძალიან ნაკლები არიან მოსავლისთვის. ღვინის მოსავალი ზოგიერთ წლებში, როგორც წრეულს, სულ მოისპობა ხოლმე. ამ ადგილის მცხოვრებნი სხვა მახლობელ მაზრების მცხოვრებლებთან შედარებით ძალიან ღარიბნი არიან.

კლდედ-ალმართი შესდგება სამი სამამასახლისოსაგან და შეადგენს ერთ საბლაღოჩინო მაზრას. ამ საბლაღოჩინო მაზრაში ეკკლესიები უმეტესად ქვისაგან არიან აშენებულნი, რადგან აქ ქვა ადვილი საშოვარია. როგორც მცხოვრებნი, ისე ეკკლესიებიც ღარიბნი არიან. სხვა მაზრებში თითქმის ყოველ სამამასახლისოში არის სასოფლო სკოლა, მაგრამ აქ სამ სამამასახლისოში ერთი სასოფლო სკოლაც არ არის, თუმც ზემო ლეჩხუმში ალაგ-ალაგ არიან სასოფლო სკოლები, მაგრამ სიშორისა და სიღარიბისა გამო ქვემო ლეჩხუმში მცხოვრებთ არ შეუძლიანთ იქ წაიყვანონ თავიანთი შვილები. მართალია, ამ სამი სამამასახლისო სოფლებში მცხოვრებნი ღარიბნი არიან, მაგრამ ერთი მოთავე და ხალხის გულ შემატკივარი კაცი რომ გამოჩენილიყო, ან დღეს გამოჩნდებოდეს, იმედია, შეაგონებს ხალხს და ერთ

სკოლას მაინც გაახსნევიებს. ათასი ღარიბი იყონ სამი სამამასახლისოს მცხოვრებნი, მაინც შეიძლებენ ერთი სკოლის შენახვას. ამასთანავე იმედი გვაქვს, რომ ამ კეთილ საქმეში დახმარებას და შემწეობას აღმოუჩენს ღარიბ საზოგადოებას ჩვენი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". ამ ხუთი წლის წინად ძლდედ-ალმართში იყო ორი სასოფლო სკოლა ალპანისა და დერჩისა; ეს სკოლები იყვნენ გამართულნი თვით სასოფლო კანცელარიების შენობებში, რადგან ცალკე სახლები არა ჰქონიათ სკოლებისთვის. მასწავლებლად ყოფილან სხვა მაზრებიდგან მოწვეულნი პირნი, რომელთაც ცოტა ჯამაგირისა გამო ვერ უცხოვრიათ აქ და თავი მიუნებებიათ ამ კეთილი საქმისთვის.

ამ საბლალოჩინო მაზრის საეკკლესიო კრებულთა შორის მოიძებნება ბევრი იმისთანა პირები, რომელთაც შეუძლიათ ყმაწვილების სწავლება და კიდეც მოჰკიდებდნენ ამ კეთილ საქმეს ხელს, მაგრამ, საუბედუროდ, ეკკლესიებთან არ არიან ისეთი სახლები, სადაც შეიძლებოდეს სკოლის გამართვა. მართალია, რომ ეხლა თვითეული მრევლის მღვდელი მოვალეა სამრევლო სკოლა იქონიოს და, თავის შეძლებისა და გვარად, რამე ასწავლოს ყმაწვილებს, მაგრამ რა ჰქნან მღვდლებმაც, რომ შეძლება არა აქვსთ სკოლისთვის სახლები დამართონ და სკოლების საჭირო ნივთები თავის საშუალებით იყიდონ.

აქამომდე რაც ყოფილა, ყოფილა და აწ კი იმედი გვაქვს, რომ ამ საგანს ყურადღებას მიაქცევენ: ლეჩხუმის მაზრის უმფროსი, სასოფლო სკოლების დირექცია და პრიხოდის სკოლების სამოსწავლებლო რჩევის წევრნი, თუმც ვეღირსეთ მათ დანიშვნას, და ყველას ამათ, იმედია, ნივთიერ დახმარებას აღმოუჩენს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც და ამისთანა მხარეში, როგორიც არის ძლდედ-ალმართი, იქნება გამართული ერთი სასოფლო, ან საეკკლესიო სამრევლო სკოლა.

მღ. თ. ასა—ნი.

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

X—XI.

(დასასრული).

არა უმცირეს ამათ ერისა და ქრისტიანობისათვის იღვაწეს შემდეგთა განათლებულთა პირთა: მეფეთა: თეიმურაზ I, თეიმურაზ II, არჩილმა; ბატონიშვილთა: ვახუშტიმ (ძე ვახტანგ მეექვსისა), ბაქარმა, იოანემ, დავითმა, და მრავალთა სხვათა. ყველა ამათგან ერს დაშთა სასულიერო და საერო თხზულებანი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ხალხის ქრისტიანებრივად აღზრდისათვის და გონებრივად ამაღლებისათვის.

ნუ ვინ იტყვის, რომ ქართველნი ამ დროს მოსვენებით ყოფილიყვნენ. პირიქით ეს დრო საშინელი დრო იყო საქართველოსათვის. მრავალნი გარეშე მტერნი: ოსმალნი, სპარსელნი, ლეკნი, განძვინებულნი საქართველოზე მოწვევისათვის რუსის ჯარისა კავკასიაში და მათ მფარველობაში შესვლისათვის, შფოთი და დავი-დარაბა სამეფო გვარში და მეფისადმი ორგულობა ზოგიერთთა მებატონეთა აი სურათი საქართველოს მაშინდელი მდგომარეობისა: თვით მეფე ერეკლე იყო მოხუცებული. მისი ბასრი ხანჯალი ისრე ვეღარა სჭრიდა, როგორათაც წინად. მას აღარ შეეძლო ერთსა და იმავე დროს პასუხი ეგო ხანთათვის, ჭარელთათვის, სპარსთათვის, ლეკთათვის, ოსმალთათვის და ოსთათვის. ქრისტეს მტერნი იერიშით მიდიოდნენ ქვეყნის დასარბევად. ამ მდგომარეობაში ერეკლე ხელ-ახლა მიიქცა რუსეთის ხელმწიფისადმი და სთხოვა შემწეობა და უზენაესი მფარველობა. ამასობაში შაჰი აღა-მაჰმადხანი დიდის ჯარით შემოდის საქართველოში ქრისტიანობის ამოსაფხვრელად. მოხუცებული ერეკლე მას მცირე ჯარით უმაგრდება თბილისში, პირველად კიდეც ამარცხებს მტრის ჯარს, მაგრამ ბოლოს მარცხდება, მტარვალი შემოდის ქალაქში 10 სექტემბერს, 1795 წ. ერეკლე მიილტვის ანანურისკენ. მთელი ქალაქი გაცარცვეს მტერთა. ქრისტიანნი დახოცეს. ეკკლესიანი შეურაცხ-ჰყვნეს. თბილისის მღვდელმთავარი დოსითეოზი მისის სასახლიდამ ჩააგდეს მტკვარში. დახოცეს სხვა მღვდელნიც. ღვთის-მშობლის ხატნი სიონისა და მეტეხისა ამ დროს დაიკარგნენ სამუდამოდ. თვით საფლავნიც აღმოთხარეს და საყდარნი და ქალაქის შენობანი პირქვე დასცეს. ამნაირივე დღე დაადგა თითქმის მთელს საქართველოსა.

მოხუცებული ერეკლე II 1798 წელს გარდაიცვალა და უკანასკნელმა მეფე გიორგი XIII (ძე ერეკლესი) ქვეყანაში მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად საქართველო დაუთმო რუსეთის იმპერატორსა (1800 წ.) და მის შთამომავლობას წარსამართავად ქვეყნისა, დასაცველად ერისა და მისის საყვარელი სჯულისა. ასრე მოიქცნენ მეფე იმერეთისა, მთავარნი: სამეგრელოისა, გურიისა, სვანეთისა და აფხაზეთისა. 1829 წ. რუსეთმა დაიპყრო საათაბაგოს ერთი ნაწილი, 1878 წელს კი მთელი საათაბაგო გარდა ლაზისტანისა, რომელიც ისევ დაშთა ოსმალთა.

1850—1863 წლამდის სრულიად დაპყრობილ იქმნა ძველი ელისენი, ჰერეთი და ალბანია, ე. ი. ზაქათალის მაზრა (საინგილო) და დაღისტანი. დროთა ვითარებისა გამო დაღისტანში სრულიად მოსპობილ იყო ქრისტიანობა და საინგილოში კი თუმცა ხალხი საჯაროდ აღიარებდა მაჰმადიანობასა, ხოლო ჩუმათ კი ისევ სწამდა ქრისტე. რამწამს რუსებმა დაიპყრეს ეს ქვეყანა, იმავ წამს შვიდთა ინგილოთა *) მოთავეობით ქრისტიანობა მიიღეს, თითქმის, ყველა გამაჰმადიანებულთა ქართველთა. სამწუხაროდ, საათაბაგოში უფრო ღრმად გაედგა ფესვი მაჰმადიანობასა სიახლოვისა და დიდი ხნის მფლობელობისა გამო ოსმალთა. თითქმის მთლად ხალხი გამაჰმადიანებულიყო და აქამდისაც, თითქმის, ყველანი მაჰმადიანნი არიან და ზიზღით უყურებენ ქრისტიანობასა. დიდნი და მშვენიერნი ტაძარნი ამ ქვეყნებში (ოფიზისა, სათლელისა, საფარისა, ვარძიისა და სხ.), მოწამენი წარსულის დროისა, თითქმის, ყველა გაოხრებულნი არიან **). ხალხი, მცირე ნაწილის გარდა, ისევ ლოცულობს მეჩეთში. არანში ქრისტიანობის ხსენებაც აღარ არის. თუშეთში, ხევსურეთ-ფშავეთში, სვანეთში, აბხაზეთში ქრისტეს ეკკლესია შეირყა... ამ ქვეყნებში ზოგიერთნი არიან მაჰმადიანნი, ზოგნი კი თუმცა ქრისტიანობენ, მაგრამ ქრისტიანებრივს წესებს არ აღსრულებენ ისე, როგორც ჯერ-არს.

საქართველოს უკანასკნელ კათოლიკოსად ***) იყო ანტონი II (ძე ერეკლე II-სა), რომლის დროს საქართველოს დაუბრუნდა ძვირფასი საუნჯე—ნინოს ვაზის ჯვარი *) განკარგულებისამებრ იმპერატორისა ალექსანდრე I სა 15 ოკტომბერსა, 1801 წელსა. ანტონი II ჰმართავდა სამწყსოს 1788 წ. 1811 წლამდე. მისივე გამგეობაში 1795 წლიდამ იყო

---

*) ამათი სახელები: მ. ბულულაშვილი, გ. ჯანაშვილი, კ. ბულულაშვილი, პ. დარეჯანაშვილი, ფ, თამაზაშვილი და სხ.

**) იხ. ამისთვის ძვირფასი შრომა ბაქრაძისა «Арх. путеш. по Гуріи и Адчарѣ.»

***) არხიეპისკოპოსნი და კათოლიკოსნი საქართველოსანი:

ა. არხიეპისკოპოსნი:

ა, იოანე I	318-364 წელს.	ვ, იოანე II	434 წელს.
ბ, იაკობ	364-379 —	ზ, გიორგი	— —
გ, იობი	379-405 —	ჱ, ვასილი	— —
დ, ილია	405-408 —	თ, მობიდახი	434-446 წ.
ე, სიმონ	408 —	ი, მიხეილი (მიქელ)	446-457

ბ. კათალიკოსნი:

1, პეტრე	457 წ.	9, სამუელ II	587 —
2, სამუელი I	499 —	10, სიმონ II	600 —
3, თავფრალ	541 —	11, ბართლომე	603 —
4, ჩილირმან	542 —	12, იოანე I	620 —
5, საბა	555 —	13, ბაბილე	629 —
6, ევლავიოზ	560 —	14, თაბორი	663 —
7, მაკარი	572 —	15, იოანე II	717 —
8, სიმონ I	581 —	16, იოანე III	1089 —
17, ნიკოლოოზ I	1150 წ.	38, აბრაამ II	1494 —
18, მიხეილ (მიქელ) I	1160 წ.	39, ვასილი II	— —
19, თეოდოსი I	1169 წ.	40, დოროთეოზ II	1522 —
20, იოანე IV	1171 —	41, მელქისედეკი	1525 —
21, თეოდოსი II	1202 —	42, გერმანოზ	1532 —
22, ნიკოლოოზ II	1209 —	43, ნიკოლოოზ V	1548 —
23, ევთიმე I	1216 —	44, დომენტი I	1559 —
24, ნიკოლოოზ III	1240 —	45, მალაქია	1580 —
25, აბრაამ I	1279 —	46, ზაქარია	1603 —
26, ევთიმე II	1301 —	47, ევდემონ I	1634 —
27, ვასილი I	1345 —	48, ქრისტეფორე	1642 —
28, დოროთეოზი I	1357 —	49, დომენტი II	1660 —
29, გიორგი I	1375 —	50, ნიკოლოოზ VI	1675 —
30, ელიოზ I	1391 —	51, იოანე V	1688 —
31, მიხეილ (მიქელ) II	1396 წ.	52, ევდემონ II	1704 —
32, დავით I	1407 წ.	53, დომენტი III	1705 —
33, ელიოზ II	— —	54, ბესარიონ	1724 —
34, თეოდორე	— —	55, ნიკოლოოზ VII	1741 —
35, შიო	1430 —	56, ანტონი I	1744 —
36, დავით II	1462 —	57, იოსებ I	1788 —
37, ნიკოლოოზ IV	— —	58, ანტონი II	1788-1811 წ.

კათოლიკოსნი აბხაზ-იმერთანი.

ა, არსენი	1390 წ.	ი, სიმონ	1666 წ. (მოკვდა)
ბ, იოაკიმე	1472 —	კ, ევდემონ II	— —
გ, მალაქია I	1533 —	ლ, დავით	1680 წ,
დ, ევდემონ I	1582 —	მ, გრიგოლ II	1731 —
ე, ევთიმე	— —	ნ, გერმანოზ	1742 —
ვ, მალაქია II	1628 —	ჲ, ნიკოლოოზ	— —
ზ, მაქსიმე I	— —	ო, იოსებ	1779 —
ჱ, გრიგოლ I	1631 —	პ, მაქსიმე II	—
თ, ზაქარია	1658 —		

ამათ გარდა აბხაზეთში კიდევ ყოფილან შემდეგნი მღვდელმთავარნი: კლიმენტი (900-903 წ.), კირიონი (V საუკ.), ილია (XI საუკ.), არსენი (XI საუკ.).

*) სიგრძე ჯვრისა არის $1\frac{1}{4}$, სიგანე $\frac{3}{4}$ არშინი. შეკრულია, როგორც უკვე ვსთქვით, თმებითა ნინასითა. ჯვრისთვის გაკეთებულია ძვირფასი ლუსკუმა (კიდობანი) ქართველთა მეფეთაგან. შემდეგ აღსრულებისა მოციქულთა-სწორის ნინასი, ჯვარი ინახებოდა მცხეთის სამთავრო ტაძარში. 457 წელს წმ. შუშანიკის განკარგულებით შიშისა-გამო ცეცხლ-თაყვანის-მცემელთა, იგი წაღებულ იქმნა ტაოში და აქედგან რამდენიმე ხნის შემდეგ გადიტანეს სპერში და იქიდგან კაპოეტის ციხეში. შემდეგ ამისა ჯვარი ესე გადაჰქონდათ ერთი ადგილიდგან მეორეში: ვანანდში და ანის ქალაქში. ჯვარი ვაზისა მცხეთის სობოროში იმყოფებოდა 175 წ., კაპოეტის ციხეში და ვანანდში 459 წ., ყაგსში 164 წ., ანში 142 წელს. აღების შემდეგ მონგოლთაგან დედოფალმა რუსუდან და ეპისკოპოსთა გამოითხოვეს ჯვარი და დასდვეს ისევ მცხეთის ტაძარში. შემდეგში, როდესაც შიშიანობა იყო საქართველოში, ჯვარი ვაზისა დამალეს წმ.

სამწყსო მთელი საქართველოისა *). 10 ივლისს, 1811 წელს ანტონი დათხოვნილ იქმნა თვისის თანამდებობიდამ. **) უქაზისამებრ იმპერატორისა კათოლიკოსობა გაუქმდა და მაგიერ ამისა დაწესდა ექსარხოსობა. ,,ამასთანავე ექსარხოსებს მიენიჭათ უფლება წოდებულ იყვნენ წევრად უწმიდესის სინოდისა.'' პირველი ექსარხოსი საქართველოისა იყო ვარლაამი (ერისთავი). საეკლესიო საქმეების წარსამართავად დაარსდა დიკასტერია. იმერეთის ეკლესიას კი ჯერ-ჯეროობით 1811 წლიდამ დამოუკიდებლად განაგებდენ იქაური არქიელნი. 1815 წელს თბილისში დაარსდა ,,საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა,'' 1814 წ. ვარლაამის ***) მაგიერ ექსარხოსად დაინიშნა რიაზანისა და ზარაის არხიეპისკოპოსი თეოფილაქტე ****). ამან გახსნა თბილისში სასულიერო სემინარია, ზორში, თელავში და სიღნაღში კი სასწავლებელნი. ამგვარივე სასწავლებელი გახსნა ძუთაისში. ამავე დროებში დაწესდა ,,ოსეთის სასულიერო კომმისია'' გასაერცელებლად და აღსადგენად ქრისტიანობისა მთებში. ამერეთში დაწესდა თანამდებობა ვიკარისა, სახელ-წოდებით ,,ეპისკოპოსი ზორისა.'' ბოდბეში დატოვებულ იქმნა 1830 წლამდე მიტროპოლიტობა ძიზიყისა. 1819 წ. იმერეთიდამ რუსეთში მიწვეულ იქმნენ ძუთაელი დოსითეოზი და ზენაელი ეფთიმე (პირველი ჰმარხია ანანურში, მეორე ნოვგოროდის გუბერნიაში, ალექსანდრეისეირის მონასტერში); იმერეთში დაწესდა ერთი ეპარხია—ძუთაისისა; აწ ჭყონდიდის ეპისკოპოსი ანუ სამეგრელოისა და ზურიისა ემორჩილებოდენ ძუთაისის ეპისკოპოსს და მასთან ერთად საქართველოს ექსარხოსს, რომელიც თავის მხრით ემორჩილება უწმიდესს სინოდსა. სამწყსოის გარდა განაგებდა თბილისის სემინარიასა, თელავის, თბილისის, ზორისა, ძუთაისის და სამეგრელოს (ე. ი. ჭყონდიდის) და ზურიის სასულიერო სასწავლებელთა.

სამების ეკლესიაში—ყაზბეგში, მემრე ანანურში და შემდეგ არშის ციხეში. 1749 წელს საქართველოს მიტროპოლიტმა საიდუმლოდ წაიღო იგი რუსეთში და მიართო მეფის ძეს ბაქარს. 1800 წ. ბაქარის შვილის-შვილმა გიორგიმ მიართო ჯვარი იმპერატორს ალექსანდრე I, რომელმაც მეორე წელიწადსვე გამოუგზავნა იგი ქართველთა. ანტონი კათოლიკოზი დიდის ამბით მიეგება ჯვარს ქალაქის გარე, მიიდო ჯვარი კოვალენსკისაგან, წაილო და დასდო სიონის სობოროში, საცა ეწლაც ასვენია.

*) 1795 წ. კიევში გარდაიცვალა უკანასკნელი კათოლიკოზი აბხაზ-იმერეთისა მაქსიმე II.

**) კათოლიკოსი ანტონი II გარდაიცვალა ნიჟნი-ნოვგოროდში 1828 წ. 21 ნოემბერსა, 68 წლისა.

***) ვარლაამი გაწვეული რუსეთში, გარდაიცვალა მოსკოვში 1830 წელსა.

****) თეოფილაქტეს გარდა საქართველოს ექსარხოსებად იყვნენ შემდეგნი: მიტროპოლიტი იონა, არხიეპისკოპოსნი: მოსე, ევგენი, ისიდორე, აწ მიტროპოლიტი პეტერბურღისა, ევსევი, იოანიკე, აწ მიტროპოლიტი მოსკოვისა და 1881 წლიდამ მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი არხიეპისკოპოსი პავლე.

დამატება.

ჰიერონას კურთხევა. წესნი ზეთის კურთხევისანი დაადგინა სრულიად საქართველოის მეფემ ვრჩილ ბირველმა 446—450 წლებში. ზეთი ისარშებოდა მცხეთის სამთავროს ტაძარში. ამ დროს ესწრობოდნენ: მეფე, ერისთავნი, ყველა სულთ უფალნი ჰ არქიელნი. როდესაც დიდს ხუთშაბათს ყველანი წესისამებრ შეიკრიბებოდენ, მაშინ სამთავროს მიტროპოლიტი უნდა მდგარიყო ზეთის მოსახარშავ მასალებთან. ქვაბები საკურთხეველიდამ გამოჰქონდათ მიტროპოლიტს ჰ ქადაგნა. ზეთის მოსარშავის შემდეგ ბეჭედს ასომავ ქადაგი; ამ დროს ყველა ეპისკოპოსთა უნდა სჭერობდათ თითო ჯერჯერი მირონი, მგალობელნი კი, დამდგარნი გარეშემო ზეთის ტაბოვლისა, გალობდენ ტროპარსა ,,კეთილიკეთ ეკლესია და სხ.''

ხასიათლის წესი. ,,მეფის კურთხევის დროს, როდესაც მეფე დაბრძანდება ტახტსა, მაშინ მბრძანებლობს კათოლიკოზი საქართველოისა, იგი დაჯდება მარჯვენით მეფის ტახტისა ბალიშიან საკრძალზე. შემდეგ შემოვა ჭყონდიდელი ჰ ბალიშიან საკრძალზე დაჯდება მარცხნივ ტახტისა; შემოვა მიტროპოლიტი დიდისა ხამცხიისა ჰ ბალიშიან საკრძალზე დაჯდება კათოლიკოზის გვერდით, შემოვა ხამთავროს არხიეპისკოპოზი და დაჯდება იმისთანავე საკრძალზე მიტროპოლიტის გვერდით. შემოვა ალავერდელი ჰ დაჯდება ჭყონდიდელის გვერდით საკრწელზე, უბალიშოთ. ქიზიყელი დაჯდება ალავერდის გვერდით უსაკრძალო უბალიშოთ. ქუმურდოელი დაჯდება ქიზიყელის ქვემოთ, ნინო-წმიდელი ამის ქვემოთ, იშხნისა ნინო-წმიდელის ქვემოთ, ანჩისა იშხნის ქვემოთ, მტბევარისა ანჩელის ქვემოთ, წურწუბელი მტბევარის ქვემოთ, წაროს-თაველი წურწუბელის შემდეგ, ერბუნისელი წაროს-თაველის შემდეგ, მანგლისისა შემდეგ ერბუნისელისა, წინწაროელი შემდეგ მანგლელისა, რუსთავისა — წინწაროელისა, წალკნისა — რუსთავისა, კაწარისა — წალკნელისა, ურბნისისა—კაწარისა, რეჩისა—ურბნისისა, სამთავისა—რეჩისა, ნიკოზისა—სამთავისა. შემოდიან აგრეთვე არქანი ცხუმისა ჰ ბედიისა. შემდეგ ამისა

ხსდებიან მეორე ხარისხის არქელნი (მამათ-მთავარნი) ამ ნაირად: გ ა ლ ა შ კ ე რ ტ ი ს ა შემდეგ ნიქოზელის, ბ ო ლ ნ ე ლ ი—ვალაშკერტელის, ა ნ ე ლ ი—ბოლნელის, კ ა რ ი ს ე ლ ი—ანელის, ხ ა რ ჭ ა შ ნ ე ლ ი—კარისელის, თ ბ ი ლ ი ს ე ლ ი—ხარჭაშნელის, წ ა ლ კ ე ლ ი—თბილისელის, ბ ა ნ ე ლ ი—წალკელის, ჭ ე რ მ ე ლ ი—ბანელის, დ მ ა ნ ე ლ ი—ჭერმელის. დ ბ ა ნ ი ს ე ლ ი—დბანელის, გ ი შ ე ლ ი (ანუ ნუხის მაზრა) შემდეგ დ ა დ ა ბ ე ნ დ ე ლ ი ს ა. შემოდიან აგრეთვე მონასტერთა წინამძღვარნი და უფროსნი და ხსდებიან ხარისხისა-მებრ თავ-თავიანთ არქელებთან. (იხ. მცხეთის გუჯარი № 286).“

ხარისხნი სასულიერო წოდებისა. უმაღლესს მწყემსს საქართველოში ეწოდებოდა „კ ა თ ო ლ ი კ ო ზ-პ ა ტ რ ი ა რ ქ ი“ და არა პატრიარქი, როგორც სხვა ქვეყნებში (მთელს მსოფლიოში პატრიარქნი იყვნენ ხუთნი) ამის გარდა საქართველოში დაწესებულნი იყვნენ შემდეგნი სახელწოდებანი ანუ ხარისხნი:

ა) მთავარ-ეპისკოპოსი. ამ ხარისხით აღჭურვილი იყო მხოლოდ არხიეპისკოპოსი მცხეთისა, პირველი პირი შემდეგ კათოლიკოზ-პატრიარქისა; ყველა სხვა ეპარქიათა გამგებელნი იწოდებოდნენ არხიეპისკოპოსებად, რომელთ ქვემდებარებოდნენ ეპისკოპოსნი და ქორ-ეპისკოპოსნი.

ბ) ქორ-ეპისკოპოსნი ანუ სოფლის ეპისკოპოსნი. რომელნიც ხშირად იწოდებოდნენ მიტროპოლიტებად ანუ მცირე ქალაქთა და სოფელთა გამგებელად.

გ) მიტროპოლიტი ანუ ეპისკოპოსი უმთავრესის და პირველის ქალაქისა მაზრაში. ესენი იყვნენ მწყემსნი მხოლოდ ქალაქისა, ემორჩილებოდნენ მხოლოდ კათოლიკოზ-პატრიარქსა და არ ემორჩილებოდნენ არხიეპისკოპოსთა, როგორც ეპისკოპოსნი.

საეკლესიო გალობა გადმოინერგა საქართველოში სირიიდამ და საბერძნეთიდამ. ეს გალობა ნოტებზე დაწყობილი და მგალობელთა გუნდის საგალობელი კი არ იყო, არამედ კ ი თ ხ ვ ა-გ ა ლ ო ბ ა. ამ გვარი კითხვა-გალობა გავრცელდა ჯერ ანტიოხიაში და იქიდგან მთელს აღმოსავლეთში. წესი ამნაირის გალობის მდგომარეობდა იმაში, რომ დიაკვანი საგალობლებს ჰკითხულობ-გალობდა და მის შემდეგ იმასვე იმეორებდა მლოცავი ხალხი. გუნდთა და დასთა გალობა შემოვიდა საქართველოში შემდეგში ამნაირი გალობა ამერეთში დავიწყებული იყო და ანტონ კათოლიკოზმა პირველმა გადმოიტანა იგი იმერეთიდამ 1780 წელს.

კათოლიკოზ-პატრიარქთა შესამოსელი: შავი ბარტყულა, რომელზედაც ჩაკერებული იყო ორი სერაფიმი მარგალიტებითა და სხვა ძვირფასი ქვებითა, იმაზედვე ძვირფასი ჯვარი. წამოსასხამი (მანტია) ხავერდისა ვერცხლის წინწკლებით, მიტრა ჯვრითა და კბილებიანი გვირგვინით. მღვდელ-მოქმედების დროს ორი პანაგია ჯვარედინად.—1801 წ. იმპერატორმა პავლე I-მა ანტონი II-ს უბოძა თეთრი ბარტყულა სერაფიმებითა.

რიცხვი ეკლესიათა და მათი შემოსავალი: 1818 წელში მოსდენილი აღწერით ამერეთში ითვლებოდა 6 მონასტერი (თბილისისა ნათლის მცემლისა, გარეჯისა, იოანე ნათლის მცემლისა, შუამთისა, შიო-მღვიმისა სირხისა), 11 სობორო და 311 სოფლის ეკლესია. ამათ ჰყავდათ 15 000 ყმა, ჰქონდათ მამულები და სხვა. შემოსავალი ყმებიდამ და მამულებიდამ ყოველ წლივ აღირიცხებოდა 57,500 მანეთიდამ 58 000 მანეთამდე. 1821 წელს არხიეპისკოპოსის სოფრონისაგან (თავადი წულუკიძე) სინოდის კანტორაში წარმოდგენილის ცნობებიდამ სჩანს. რომ იმერეთში ამ დროს ყოფილა: 15 მონასტერი, 2 სობორო და 618 სასოფლო ეკლესია. მათ ჰყოლიათ 7.072 ყმა და მამულები, რომელთაგან შემოდიოდა 11.482 მანეთი. ამ დროსვე ქუთაისში ყოფილა სამაზრო სასულიერო სასწავლებელი და სოფ. ნიკოლოზ წმიდაში (რაჭის მაზრაში) სასოფლო სასულიერო სკოლა.—1819 წელს სინოდის კანტორის წევრის ათანასეს შეკრებილი ცნობებიდამ სჩანს, რომელ ამ დროს სამეგრელოში ყოფილა სამი ეპარქია (ჭყონდიდისა, ცაგერისა და ჩაიშისა), საკრებულო და სასოფლო ეკლესიანი ყოფილა 233. ბერნი 49, არხიმანდრიტნი 2. როდესაც 1823 წელს აღსრულებულან ცაგერის მღვდელ-მთავარი მიტროპოლიტი იოანე და ჩაიშისა ეპისკოპოსი გრიგოლ, მაშინ გამგეობა სამთავე სამწყსოისა დარჩომია ჭყონდიდის მიტროპოლიტს ბესარიონს (დადიანი).—წინააღმდეგობისა-გამო მამია გურიელისა 1819 წ. ვერავითარი ცნობები გურიის ეკლესიის შესახებ რუსის მთავრობას ვერ შეუკრებია. ამ დროს ეპისკოპოსად გურიისა ყოფილა ნიკოლოზ ჯუმათელი.

ქორონიკონი (ხრონოს — დრო) ანუ წელთა და დროთა აღრიცხვა, რომელსაც რომაულად ინდიკტი ანუ ინდიკტიონი ჰქვიან ქორონიკონის ერთი კჳკლოსი (ციკლი) უდრის 532 წელისა. როდესაც ერთი კჳკლოსი დასრულდება და დაიწყობა შემდეგი კჳკლოსი, მაშინ პლანეტნი ჩადგებიან ისევ იმ კვალში, რა კვალშიაც იყვნენ გასრული კჳკლოსის დამდეგს, ესე იგი პლანეტნი 532 წ. დასასრულ ისევ მოიქცევიან ხოლმე. ამ მოქცევას ჰქვიან დიდი მზის მოქცევა, რომელიც შესდგება 19 მთვარის წლის გამრავლებით 28 მზის წელიწადზედა. როდის დაიწყეს ქართველებმა წელთა აღრიცხვა ქორონიკით ჯერ ისტორიამ არ იცის. ქართველები ქორონიკის გარდა წელთა აღრიცხავდნენ დასაბამიდამ სოფლისა და განხორციელებიდამ ქრისტესი. ესლა ჩვენი ქორონიკით მე XV კჳკლოსია, მე XIV გათავდა 1844 წელს, მე XVI დაიწყობა 2,376 წელს განხორციელებიდამ ქრისტესი.

თვენი: 1, აპანი, 2, ხარწყვანასი, 3, ბირკანი, 4 იგრიკა, 5, ვარდობისა, 6, თიბვისა (იოანობისა). 7, მკისა (კვირიაკობისა). 8, მარიამობისა (ქველობისა). 9, ენკენობისა. 10. სთვლისა (ღვინობისა). 11, გიორგობისა (ტირსიკონი), 12. ტირისლენი (ქრისტეშობა).

ბირკანი, იგრიკა ებრაელთა თვეთა სახელწოდებაა; აპანი და ტირსიკონი აქამდის ჯერ არავის განუმარტებია. ენკენობა წარმოსდგება ბერძნულის სიტყვიდამ „ენკენია,“ რომელიც ნიშნავს ტაძრის განახლებას. 13 სეკტემბერს კონსტანტინე დიდმა გოლგოთაზე განაახლა ტაძარი და მით ამ თვეს ჩვენშიაც დაარქვეს ენკენის თვე ანუ ენკენობისა. (ძველებური ესე თვეთა სახელწოდებანი ეპისკოპოსს ეფრემს აღუნიშნავს 1783 წელს თბილისში გამოცემულს ჟამნის ბოლო გვერდზე.

ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება თბილისში ეგზარხოსის თავმჯდომარეობით. ეს საზოგადოება ცდილობს გაავრცელოს ხალხში მართლ-მადიდებლობითი სარწმუნოება. თავის ხარჯზე ინახავს მღვდლებს, აგებს ეკლესიებს, ხსნის სკოლებს და შეუძლებელ მშობლების ყრმათა ზრდის სხვა სასწავლებლებშიაც.

მოსე ჯანაშვილი.

საისტორიო მასალები. *)

იესე, წინამძღვარი გელათის მონასტრისა.

იესეს გვარეულობის (გრიგორაშვილების) ჩამომავლობის-ხეს ასე მოგვითხრობს „ივერიის“ უკანასკნელი წიგნი: „ამათნი წინაპარნი არიან მოსულნი ანიდამ, რომელნიც ესახლენ მუნ და იყვნენ პირველ ქედხუდანი და მერმე ანის აოხრების გამო აიყარნენ და მოვიდნენ გრიგორის შვილები საქართველოსა შინა, რომელნიც მიღებულ იყვნენ მდაბალ აზნაურად და რომელიცა ახლდა რუსეთსა შინა ვახტანგ მეფესაცა გრიგორაშვილი და არიანცა მოხსენებულ ტრაქტატსა შინა.“ განვაგრძობ. ერთი ტოტი ამ გვარეულობისა დასახლებულა იმერეთში სოფ. ზარათს, სადაც არიან აქამომდე. გასულ საუკუნის ბოლოს და მდგომარის დასაწყისს ერთი ამ გვარის კაცი—იესე—ყველასაგან განირჩეოდა. იგი ყოფილა საკმაოდ განვითარებული გონებითა და თვისის დროის შესაფერად განათლებული კაცი. მისის პირადი ღირსებისა გამო, იესე, ჩამომავლობით მდაბალი აზნაური, იმერეთის მეფეს სოლომონ პირველს შეურიცხავს „შუათანა აზნაურად“, ხოლო სოლომონ მეორეს თან-და-თან აღუმაღლებია. ჯერ მიუცია თავისი კარის მწირველობა, შემდეგ მდივნობა და ბოლოს იესე გამხდარა გელათის მონასტრის წინამძღვრად. იგი ამ ხარისხში აღესრულა. გვამი მისი დასაფლავებულია გელათის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთის კარში შესავალთან. საფლავის ქვა თითქმის გასწორებულია მიწასთან. წარწერიც მასზედ მთლად წაქლესილა, არა ჩანს არც მისის დაბადების წელი და რიცხვი, არც გადაცვალებისა. ვერც სხვაგან ვიპოვე ნამდვილი ცნობა ამაზედ. ნამდვილი მხოლოდ ის არის, რომ იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ დიდ-ხანს აღარ უცოცხლია იესეს. გამოცხადდა თუ არა 1810-ს წელს, თებერვლის ცხრას რუსთ-მთავრობის დამყარება დასავლეთ საქართველოშიაცა, ამასთანავე რაკი ტრაპიზონიდამ ამბავი მოვიდა ოსმალეთისაკენ გადახვეწილის მეფის სოლომონ მეორის მოულოდნელი სიკვდილისა და მისთ იქ გადამყოლთ დარბაისელთ გაფანტვისა, მოხუცი იესე სევდისაგან ავად გახდა. კარგა ხანს იყო იგი ჩავარდნილი ლოგინად თავისს სასახლეში სოფ. ზარათს ხუთის ვერსის მანძილზე გელათიდამ. იგრძნო თუ არა აღსასრულის მოახლოება, მან სთხოვა ჭირისუფლებს გელათს გადაყვანა: იქ უთუოდ მოვრჩებიო. გადიყვანეს ჯალაბერით და მაშინვე მოკვდა.

იესეს ცხოვრებაზე ცოტა ცნობები დარჩენილა. გამიგონია ორი პატარა ეპიზოდი მისის კერძო ცხოვრებიდამ. ერთხელ, როცა სოლომონ მეფე რიონის სამოურაოში ყოფილა, იესეს, არა მხოლოდ თავისთავად, უფრო სახლის კაცების შეგონებით მეფესთან უჩივლია ერთის მეზობელ გლეხისთვის. როცა საქმე წარჩინებულს ვისმე ეხებოდა, მაშინ სამართალი უთუოდ მეფეს უნდა გაერჩინა. აი თვით ის განაჩენი, რომელიც მოგვყავს უფრო როგორც ნიმუში მაშინდელი სამართლის წარმოებისა, ვინემ თვით იესეს ცხოვრების აღწერაზე სინათლის მომფენი:

„ჩ. გრიგორაშვილი იესე და ძოწენიძე გოგია გავასჯეთ. იესემ უჩივლა: ჩემის ეზოს სიახლოვეს ყანა გქონდა. ყოველს კაცს იმ სიახლოვეს მოკრეფილი ჰქონდა ყანა და შენც ნაკრეფი გქონდა, მაგდენი მოსაკრეფი არარაფერი გაქვნდა; შეკავებული აღარ იყო. ყოველს კაცს ნაყანევში აშვებული ჰყავდათ პირუტყვები და ჩემი მწყემსიც ნაყანევებში უდგა საქონელს; და შენ უბრალოდ მწყემსი გამილახე კეტით. მოვიდა და ტირილით რომ შემეხვეწა, მას გაუწყერი და შენ ჩემი დისწული გამოგიგზავნე—შემოგი-

*) იხილე „მწყემსის“ № 17.

თვალე: მწყემსი რად გამილახე, თუ რამ წაახდინა, მე გადაგიხდიდი მეთქი. შენ შემომითვალე: მართალია, გავლახე და ნეტავ უფრო გამელახაო და ბევრი უკადრისი სიტყვა შემოგეთვალა; მე ჩემი სახლის კაცებიანად გეგინებინე. მერმ თ მე წამოვედი საკითხავად და, თუ რამ წამხდარა, მის სანახავადაც. გკითხე: ზოგია, სად არის წანამხდარი, მიჩვენე მეთქი. ჩემი ხმა რომ გაიგონე, შენ დანას გაისვი ხელი და მოგვაშორე შენის ყანის მოზიარიანათ, ქალიან-კაციანად; ერისკაცს ჩემს შვილს თოფი წაართვი და ხელები კვანჭით ქალმა და კაცმა დაუთხლიშეთ. მეორეს ჩემ შვილს მთავარ-დიაკონს ქალმა და კაცმა ტანისამოსი შემოაგლიჯეთ და შენ დანა დაკარი და ხელის თითები ოთხივე დანით დააყრევინე. ჩემი შვილის თოფი რომ წაიღე, (რომელს მოვკლიდი, არ ვიცოდით) თოფში შეგაფრინდი და ერთი ჯოხი თავზეც დაგკარი. ჩემი შვილის თოფი რომ აღარ დაგანებე და ხელი აღარ მოვაცილე, დამცი და ხრამში გადამიტანე, ბევრი მათრიე, წვერი, ულვაში და თმა თრევაში ბევრი დამაგჯა; მხარი შემატაკებინე ქვაზე, თუ ხეზე და მხარიც მომტეხე. ორმოც დღეს ლოგინიდამ არ ამდგარვარ, წირვა-ლოცვა არ შემძლებია და ახლაც ავად ვარ. — რას მემართლებოდი არ ვიცი.

ზოგია ძოწენიძემ აშოროს უთხრა. — აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვით და ოცდა სამი თავისი ტოლი კაცი თან ჩაიტანოს და ასე დაუფიცოს: არც შენ ჩემით და ჩემის მოზიარით და მოყოლილის ქალითა და კაცით არ დაცემულიყო და არც თრეულიყო; არც ჩვენით მხარი გტკენოდეს და თმა და წვერი დაგლეჯოდეს, არც შენი შვილისთვის თოფი წამერთმიოს და არც მეორე შენი შვილისთვის დანა მომექნიოს და ჩემის დანით თითები არ დასჭროდეს, და არც სისხლი სდენოდეს არც ჩემგან და არც ჩემის მოზიარის და მოყოლილის ქალისა და კაცისაგან; და არცა რა ურიგობა გკადრებოდეს; არცა შენი დისწული რომ გამოგზავნე, მდაბალი სიტყვა თუ დავაბარეთ, თორემ ურიგო და უკადრისი ჩვენ მისის პირით არ მოგვეხსენებინოს.—თუ ასე უფიცოს ზოგიამ—ესე შუა აზნაურიშვილად ჩავაგდეთ, კარის მწირველობამ და მდივნობამ პირველ აზნაურიშვილად გახადა და მღვდელობით კიდევ მეტი შეიქმნა —და მისის მხრის ტკენის, წვერ-ულვაშის გლეჯის და თმის საუპატიოდ; მისი შვილის მთავარ-დიაკვნის ჭრილობა და მეორე შვილის იარაღის ურის სისხლი საუპატიო ვიანგარიშეთ და ათას ორმოცი მარჩილი გამოვიდა. — თუ შეიძლონ, ათას ორმოცი მარჩილი მისცენ ესეს და მის შვილებს და თუ ვერა, — ზოგია ძოწენიძე და ვინც მას იქ დასწრებია მისის ოჯახის თუ სხვა ან ქალი და ან კაცი მოჩხუბარი და ასაბია—სულ თავისის ყოფითა და ცოლ-შვილით ესეს მიეცეს. და ვინც ასაბია და მომხრე ჰყოლია, მოზიარე თუ თავისის ოჯახის, რომელმაც თავი იმართლოს: არ დავსწრებივარო და არ წავხმარებივარო—სამართლით და აშოროთი გაუშვან. და ზოგია მაინც ცოლ-შვილით და ყოფით ესეს მიეცეს. თავში რომ ესეს მწყემსის გალახვა უჩიენია, ძოწენიძემ ყანის წახდენა უპასუხა, ესემ აშორო უთხრა —ერთი გლეხ კაცი ასე შეაფიცოს: იმ დღეს შენს ხარსა და ძროხას და თხას შენი ყანა არ წაეხდინოს. თუ ასე უფიცოს—ძოწენიძისთვის რომ ესეს თავზე ჯოხი დაურტყამს, მწყემსის გალახვამ იმისთვის გაუაროს. და თუ ვერ შეაფიცოს, მწყემსის გალახვამ ყანის წახდენაში გაიაროს; და თავზე დაკვრისთვის ათი მარჩილის ხარი ესემ ზოგია ძოწენიძეს მისცეს, ან ათი მარჩილი თეთრი. (ბეჭედი) მეფე იმერთა სოლომონ.

ესეთი დიდი ზომის საუპატიო (რასაკვირველია, მთლად დაფუძნებული მეფის ვახტანგის კანონებზე) მეფეს იმიტომ მიუსაჯავს ესესთვის, რომ იგი ერთობ აფასებდა მას. ამას შემდეგ წერილში უფრო დავინახავთ. მოპასუხე კი ამ სასტიკ განაჩენს შეუშინებია და აშკარა ცრუ ფიცი მიუღია. ეს იქიდამ სჩანს, რომ ამ განაჩენში მოხსენებული ზოგია და მისი ჩამომავალი ესეს და მის შვილსა და მომავალს არაოდეს ყმად არ ჰყოლია.

ჰ. ქ.

(შემდეგი იქმნება.)

არხეოლოგიური ცნობები

ცნობა ეგვიპტელებზედ.

(დასასრული) *)

ნასლონების სამშობლოს ეგვიპტედ ემხრობოდა ქასიის მთა; როდესაც ისინი გარდმოსახლდნენ ჩვენს იმერეთში, ქასპიის მთის ერთ ნაწილს, რომელიც მათ მახლობელად იყო, უწოდეს ქასია; აქედგან წარმოსდგა რთული წოდება ჩვენის მთებისა ქასპ-ქასია. ზღვის პირის ქალაქებს ერთს უწოდეს ფოთი (თოფის

*) ისილე „მწყემსის“ № 21.

შემდგომ მცხოვრებთ ეწოდათ სვანი. რაჭას დააფუძნეს Ონი და იმერეთს Დიმი (დიმიადის წილ) ზემოდ Ბაბი (ბუბასტის ნაცვლად) და სხვაც. ქართლში დააფუძნეს Საისი, რომელსაც შემდგომ სამშვილდე ეწოდა. Ბურიას აგეს Ოსირის ქალაქი, რომელსაც მერმე არიანელთაგან Ოსირკერტი ეწოდა (Ოზურგეთი). სპერისკენ სამესხეთოდ გაიკეთეს თორთომი, Ფოცხევეს და Აჭარას მერა (მერისის წილ), Აწყვერს Თისელი (Თისის მაგიერ) და სხვა მრავალი ამისთანა მათი ქვეყნის ქალაქ-დაბების სახელები, რომელნიც დიდის ხნის განმავალობით და მრავალ-გვარის ცვლილებით წარიხოცნენ და საუკუნო დავიწყებას მიეცნენ.

Ესენი გაანაწილეს ჩვენი სამესხეთო საქართველო თავიანთ ჩვეულებისაებრ 6 ნაწილად: პირველი იყო Ბურია არტანამდის, რომელსაც ფლობდნენ ქურმები: ამათ უწოდეს ჩვენს ურს Არტაანი (არს ტაანიო). Ბურია მათ ენაზედ მზეს ნიშნავს: მით Არტანითგან გამომდინარე წყალსაც ეწოდა Ური, ჩვენმა წინაპარებმა, რადგან მათ არ მიიღეს მათი სარწმუნოება, უწოდეს Ურს მტყუვარი. მათი გავაქკაცებული ჰოროს (მზისაგან) ლექსითგან დაშთა ჩვენს ეროაბაში ჰოროველა, ჰარალა, ორერა, რომელიც, თქმა არს, „მზემან", მზის მსხვერპლი იყო თურმე ღორი: ეს წოდება ჩვენ წინაპართ მიუციათ იმ პირუტყვისათვის ეგვიპტელების საკცხად, თორემ წინად ღორს ბრანგვი ჰრქმევია. ეს სახელი ჩვენ მთარგმნელთ დათვისთვის მიუციათ.

Ბეორე ნაწილს შეადგენდა მთელი მესხეთი; Ღადოს ჰქონდათ ამართული კერპი Ღადო (Დიმიტრი). ქურმები მსახურებდნენ ყოველ დღე, Ღადოს წოდებითგან წარმოსდგა Ბაუვალ, ან იწრო ხევ-ღელეთ მიხედვით) და მეორეს Დიოსპოლი. ერთს მხარეს აფხაზეთის მახლობლად უწოდეს Ზოანი, მის გამო წოდება ღადა ღუდა, ქურუმების მაღალის ხმით ლოცვა-ხვეწნისაგან—ლექსი „ღად-ღადი", ღაღადი, აგრეთვე ზმნა ხადეა, ქურუმების უკადრისი, უხმეკური, მიუკარებელი კაცთ-მოძულე ყოფა-ქცევისაგან —„ხრდალი", მათი გარყვნილი ცხოვრების შესაფერად ჩვენ წინაპართ უწოდეს მამრთა „ხვადი" და მათ მდედრთა „ძუნკალი", მათ უზომო შექცევას სიცილ-ღრინცილსა ეწოდა „ხადილობა" და სხვა. შემდგომ ეს წოდებანი ხვადი და ძუნკალი მხეცთ ეწოდათ. Ღადოს ლექსითგან წარმოებულია აგრეთვე ხატი (სახე) და ლექსი ქადაკება.

ტომთ ისტორიული კვალი ნათლად დაშთენილა ჩვენს ენაში, ჩვენის ისტორიული თვისების ამამაღლებლად: ასრევე უნდა ვიგულისხმოთ იმ გვარნი მრავალნი ლექსნიცა, რომელთ ნაირი მნიშვნელობის მქონი ლექსნი მოიპებიან ორი თუ სამი ჩვენს ენაში, უთუოდ იმათაც ისტორიული ხასიათები აქვსთ მიღებული სხვა-და-სხვა საუკუნე ეპოქებითგან, ჩვენს სასიქადულოდ, რაც ვსთქვით, ტირიელთა თუ ეგვიპტელთა ლექსები ერთი მეორეში არეულ არიან, მაგრამ ეს კი ყოვლად ცხადია, რომ არც ერთ მათგანს არ უქონიებია ჩვენზედ არა ვითარი ზედ-მოქმედება და არცა გავლენა საზოგადოდ. წინააღმდეგ, ჩვენ წინაპართ სიმძულვარე, უკმაყოფილება, გამკიცხველობა მაღალის ხმით დაადებს, რომ ჩვენი მტკიცე მაღალ კეთილ-შობილური ზნე-ხასიათები ყოველს დროს შეურყეველ-შეუხებლად დაშთენილ არიან ყოველ ჩვენ მტერთ მძლავრობისაგან! რით მოხდენილა ესრეთი კეთილ სასიამოვნო მოვლენანი? უთუოდ გაურყვნელი და ყოვლად მტკიცე ზნე ხასიათებით, ძმათ-მოყვარულობით და ერთ-პირობით!..

ევროპიელთ მოგზაურნი განცვიფრებაში მოჰყავსთ ჩვენს სამესხეთო საქართველოს მთათ მრავალ კეც ჯაჭვსავით ხშირ უღელ ტეხილთა, დაღაღუდა ხევ-ღელეთ სიმრავლესა, ტყეთა სიმდიდრესა, წყალთა სიტკბოსა, ჰაერის სიმრთელესა, ციხე ტაძრებსა, რუსხმულთა, ქვაბ ზალავართ უცხოებას და წვრილ ვაკე გორების ნაყოფიერებასა ჰინახულ ხილნარ ვენახოანობით, მასთან ყოველ გვარ ცხოველთა და მფრინველთა, როცა თვიანთ ბედნიერის თვალით გარეგან უყურებენ და თუ თვიანთ მეცნიერების თვალს მოაველებდნენ ჩვენ წინაპართ ყოფა-ცხოვრებას და გმირულ მოქმედებათ რიგიანის გამოკვლევითა, მაშინ მათი ღირსება ათას კეცილად მაღლა დადგება ჩვენს საუცხოვო შვენიერს კავკასიის მხარეებზედა, როგორც მუდამ მაღლა დგას ბუნებით მდიდარი შეუმუსრველი ანდამანტი საზოგადო ქვა ლოდკლდეებზედა!..

ვინმე მესხი.

სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

წარსულს თვეში ტფილისის სასულიერო სემინარიიდგან წავიდა რუსეთში ამ სემინარიის მასწავლებელი ბ. პავლე სტრატილატოვი, რომელიც ასწავლიდა სამოქალაქო ისტორიას.

იმის ადგილზედ გადმოყვანილ იქმნა ნოვო-ჩერკასკის სასულიერო სემინარიის ისტორიის მასწავლებელი ბ. მექანარიშვილი, რომელსაც ამ რვა წლის წინად სასულიერო აკადემია გაუთავებია და მასუკან ზემოხსენებულს რუსეთის სემინარიაში მასწავლებლად ყოფილა და დაუმსახურებია იქ სიყვარული შაგირდებისაგან. იმედია, რომ ასეთივე სიყვარულს დაიმსახურებს ამ ჩვენ ტფილისის სემინარიაშიაც ბ. მექანარაშვილი.

***

ამ დეკემბრის 17, 18 და 19 სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების დეპუტატების შეკრებილება არის დანიშნული ახალ სენაკში. ამ კრილობას ბევრი რამ საქმეები აქვს გადასაწყვეტი სასწავლებლის გაუმჯობესობის შესახებ.

***

ელალოჩინის მღვდლის მ. იოსებ წერეთლისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«ამ ერთ თვეში ხუთი ეკკლესია გაცარცვეს ავაზაკებმა ამ ჩვენ მხარეში: ითხვისის, სარეკის, ბორისის, დუნთის და ჭალუანის, რომლებიდგანაც გაიტანეს თითქმის ყველა ვერცხლის ნივთები. მარტო ითხვისის ეკკლესიიდამ წაიღეს რვაასი მანეთის (800 მ.) ვერცხლის ნივთები. დამნაშავენი ჯერ ვერ აღმოაჩინა ადმინისტრაციამ, მაგრამ ეხლა კი დაიჭირა ერთი, რომელსაც სარეკის ეკკლესიის ფეშხუმი დაჰქონდა საჩხერის მაზრაში გასასყიდათ. როგორც შევიტყვე, ავაზაკს კიდეც დაუსახელებია რამდენიმე თავისი ამხანაგები. ეხლა საქმე არის დამოკიდებული გამომეძიებელის გამჭრიახობაზე და ადგილობითი ადმინისტრაციის სიმარჯვეზე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არა მარტო ერთი და ორია ეს ვაჟბატონები. ეს ჩვენი მხარე (საჩხერისა) სწორედ, რომ შესაცოდებელს მდგომარეობაშია, ამ ქურდებისაგან».

***

თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის გარდაცვალების გამო ჩვენ გვწერენ განსვენებულზე შემდეგს:

«ხან-გრძლივის სნეულების შემდეგ გარდაიცვალა (1 ქრისტ. 1884 წელს) თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ფ. ა. ფაორსკი.

განსვენებული 1844 წლიდამ თბილისის სასულიერო სემინარიაში მსახურებდა მასწავლებლად. ამ დროს განმავალობაში იგი ხშირად ასრულებდა ხოლმე ინსპეკტორის და რეკტორის თანამდებობებსაც და დროებით ასწავლიდა ხოლმე სემინარიის კურსის იმ საგნებსა, რომელთათვის განსაკუთრებულნი მასწავლებელნი არ იყვნენ დანიშნულნი, ასე, რომ სემინარიაში არ დაშთენილა ისეთი საგანი, რომ განსვენებულს არ ესწავლებინოს იგი დროებით მაინც. მრავალჯერ იგი დანიშნულა ხოლმე რევიზორად საექსარხოსოს სხვა-და-სხვა სასწავლებლების საქმეების გასასინჯველად. 1882 წლიდამ განსვენებული დაინიშნა ხსენებულის სასწავლებლის ზედამხედველად. და თუმცა მოხუცებული იყო, მაგრამ თავის თანამდებობას ასრულებდა კეთილ სინიდისიერად და რაც სამსახურში იყო, არავის არ გაუკონია, რომ მას ვისმესთვის ეწყინებინოს და ან უხეიროდ მოჰქცეოდეს. იგი მოსწავლეებს ექცეოდა ალერსიანად და არას დროს ცუდ სიტყვას არ აკადრებდა მათ. იმათაც კი, რომელთაც რაიმე შემთხვევით გაკვეთილები არ იცოდნენ, ზრდილობიანად დაარიგებდა ხოლმე და გაამხნევებდა და წაახალისებდა სწავლისადმი. თავის თანა-მოსამსახურეებთანაც იგი სიკვდილამდის კარგს განწყობილებაში იყო. ხასიათი ჰქონდა დარბაისული.

აქით აიხსნება ის მიზეზი, რომ ყოველი მცნობი მისი — მოსწავლე და მასწავლებელნი, დიდნი და პატარანი უთვლიან მას საუკუნო განსვენებას.

უკანასკნელ წამამდის განსვენებულს არ დაჰკარგვია გრძნობა. თავის მოსამსახურეს უკანასკნელ წამს დაუტევა შემდეგი ანდერძი: ფული, რომელიც მაქვს ბანკში (1000 მანეთამდე), მიანდერძებია თბილისის სასულიერო სკოლისათვის. ეს განკარგულება სიტყვით და არა წერილობით მოუხდენია, რადგან წერილობით ანდერძის დატოვება ვერ მოუსწრია.

საუკუნო იყოს ხსენება შენი ყველასაგან საყვარელო პატიოსანო კაცო!»

* * *

როგორც ისმის, უწმიდესი სინოდი არ დათანხმებულა ქ. ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნაზე. მიზეზად, როგორც ამბობენ, ის არის ნაჩვენები, რომ სინოდს არა აქვს საშუალება, რაიმე შეწეოდა აღმოუჩინოს თავის მხრით სემინარიის სახლის ასაშენებლად და შესანახავად. ამასთან ამბობენ იმასაც, რომ საქართველოში ერთი სემინარიაც დააკმაყოფილებს ყველას, თუ პარალელურ განყოფილებებსაც გახსნიან თბილისის სასულიერო სემინარიაშიო. თუ ეს ხმები მართალი გამოდგა, საჭიროა სამღვდელოებამ ეხლავე მოიფიქროს ამ საქმეზე.

გლეხი.

ყველაზედა დილით ადრე გაიღვიძებს გლეხი-მუშა,
ვინც ცოტათი ღამე ძილში გულის სევდა მოიშუშა.
ტანს ჩაიცვავს, ემზადება, გად სახავს გულზედ ჯვარსა
და მხურვალეთ ევედრება ჩვენთვის ტანჯულს მაცხოვარსა.

ევედრება: ,,მაცხოვარო, მომეც ძალა ოფლის ღვრისა,
,,ნუ წამართმევ ჯან-მრთელობას მე შენ მიერ გაჩენილსა,
,,მეუფეო, შენ დამბადე, შენ მომეცი მკლავში ძალა,
,,სიკვდილამდის მით ვიცხოვრებ, თუმც იგი არ გამეცალა.

,,ღმერთო ჩემო საიმედო, არ ვინა მჰყავს შენისთანა,
გთხოვ, რომ მომცე პური, ღვინო, განამრავლო ჩემი ყანა!
ლოცვის შემდეგ შვილს აღვიძებს, ეუბნება: ,,ადე, ვანო,
ადექ, პირი დაიბანე, სამუშაოდ წაგიყვანო!“.

—,,ეხლავ, მამა მომიცადე და წამოვალ მე შენთანა,
სანამ შენ პურს მონახამდე, მანამ მე პირს დავიბანა!“..
დილას მიდის, საღამოზედ გლეხი მოდის დაღალული,
ვახშამს შეჭამს, დაიძინებს, შრომის ოფლით შელებული.

ყოველ დღესა ესრეთ გლეხი დროს ატარებს ოფლის ღვრაში,
მხოლოდ მაშინ განისვენებს, როცა ჩავა სამარეში.

ილ. ფერაძე.

განცხადებანი.

განცხადება 1885 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს „მწყემსზე“

და „მწყემსი“-ს რუსულ თვიურ დამატებაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მმართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2) გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

გაზეთი „მწყემსი“ გამოვა წარსული წლების მსგავსად ორ კვირაში ერთხელ ორ საბეჭდავ ქაღალდის ფურცელზე.

რუსული დამატება „მწყემსი“-საც პროგრამით და მიმართულებით გამოვა ორ საბეჭდავ ქაღალდის ფურცელზე—თვეში თითოჯერ.

„მწყემსი“-ს ფასი მთელი წლის გაგზავნით—ხუთი მანეთი.

ნახევარი წლის —სამი მანეთი.

„მწყემსი“-ს ფასი რუსული თვიური დამატებით ერთი წლისა ექვსი მანეთი.

ნახევარი წლისა—ოთხი მანეთი.

ცალკე რუსული დამატების ფასი წლისა—სამი მანეთი.

ნახევარი წლისა—ორი მანეთი.

წერილებით და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: Въ Квирилу, въ редакцію „МЦКЕМСИ“. (ყვირილაში, „მწყემსი“-ს რედაქციაში).

ჟურნალი „ნობათი“-ს გამოცემა 1885 წელში.

(წელიწადი მეორე)

საყოველთვეო ურმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

„ნობათი“

პედაგოგიური ნაწილის დამატებით—მშობელთა და აღმზრდელთათვის—მომავალს 1885 წელში გამოვა იმავე პროგრამით, მიმართულებითა და სივრცით, როგორათაც 1884 წ.

ჟურნალზე ხელის-მოწერა. წლიური ფასი ჟურნალი „ნობათი“-ს — ქალაქში დარიგებით ლ გარეშე გაგზავნით, დარჩა იგივე, ე. ი. ოთხი მან. მარტო ნახევარი წლის-ხელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი ღირს ათი შაური.

ხოფლის მასწავლებლთ შეუძლიათ გამოგზავნონ: თავ-ლ-პირველად ორი მან. ლ დანარჩენი ორი მანეთიც —მაისში, რომელთაც ამ რიგად ხელის მოწერა ჭსურთ, პირ-ლ-პირ რედაქტიას უნდა მიმართონ.

ხელის-მოწერა მიიღება: თბილისში — ჟურნალი „ნობათი“-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის გვერდით, თუმანიშვილების სახლში № 7 ლ შავერდოვის წიგნის ხაგენტოში. ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში—ეკ. ფურცელაძესთან ლ თელავში—ივ. როსტომაშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію грузинскаго педагогическаго журнала „Нобати“.

რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ღულაძე. (3—1)

დამზადდა და გამოვიდა გასასყიდლად ქართული მხედრული ვრცელი

ლოცვანი,

საჭირო და სასარგებლო ყოველ მართლ-მადიდებელ ადმსარებელ პირთათვის, შედგენილი მღ. დ. ღამბაშიძის მიერ. შინაარსი ამა ლოცვნისა:

დიღის ლოცვანი; ლოცვანი ძილად მისვლისა; შემოკლებული დიღის ჯ საღამოის ლოცვები; ხაუოველ-ღღეო სახმარნი ლოცვანი; ათი მცნება; ცხრა ნეტარება; ლოცვა მეფისა; ლოცვა ტაცხალთა ჯ გარდა-ცვალებულთა და ჯვარისა; ლოცვანი ჯ კეთილ-კრძალულებითი გულის ზრახვანი შეხრულების ჯ მოსმენის დროს ლიტურღიისა; მწუხრის ლოცვანი; ტისკრის ლოცვანი; პირველი ყამის ლოცვანი; სძღისპირნი დიდ მარხვის ხერობისანი; დიდი ხერობის ლოცვანი; დიდ მარხვის ტროპარები ჯ კონდაკები; რომელი ქერუვიმთას ხაგალობელი გალობანი; ადგომის საგალობელნი გალობანი; მცირე ხერობა; ღვთის მშობლის პარაკლისი; ზიარების ლოცვა; თვეთა მეტუველებანი წლითი წლად; მოძრავი ღღესასწაულები; წელთა აღრიცხვა, ქორონიკონი ხშ-ს წლამდე.

თვეთა მეტყველებაში ყოველ ღღესასწაულს თან მიჰყვება მოკლე გასაგები ენით ისტორიული მოთხრობა.

ამ ლოცვნით ყველას შეუძლია ისარგებლოს: როგორც მოსწავლეებს, ისე სხვა პირებს, დიდებს და პატარებს, ვინც კი კითხვა იცის, სამღვდელოს და საეროს.

ფასი ლოცვნისა გაგზავნით და გაუგზავნელად ყველგან ეძვსი შაური.

მშვენიერ ყდაში გაკეთებული ლოცვნის ფასი არის ცხრა შაური.

ლოცვნების ყიდვა შეიძლება:

ქუთაისში: ჭილაძის და მურადოვის წიგნის მაღაზიებში და პეტროვის ბიბლიოტეკაში.
თფილისში: ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში.
ზუგდიდში: დეკანოზ მამა მიხეილ მეუნარგიასთან.
ფოთში: მღვდელ ბ. მაჭაროვთან.
სიღნაღში: დეკანოზ მამა სიმონ ბეგიევთან.
ახალციხეში: ბლაღოჩინ მღვდელ ბრიგორ დავიდოვთან.

ვინც „მწყემსის" რედაქციიდამ დაიბარებს არა ნაკლებ ორმოცდა ათი ეკზემპლიარისა, მას მანეთზედ დაეთმობა ხუთი კაპეიკი.

Дозв. цензурою Кутаисъ, 14 Декабря 1884 г. რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფელმბეჭდავი ზედგინიძისა ჯ ფერაძისა.